რიცხვითი სახელი

1) რა არის რიცხვითი სახელი?

ა) საგნის მოქმედების ან მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვა

ბ) საგნის თვისების აღმნიშვნელი სიტყვა

გ) საგნის რაოდენობის, რიგის ან წილის აღმნიშვნელი სიტყვა

2) რომელია რიცხვითი სახელის კითხვა?

ა) ვინ? ბ) რა?

გ) როგორი? დ) რამდენი?

3) ჩამოთვლილთაგან რომელია რაოდენობითი რიცხვითი სახელი?

ა) მორი ბ) მეასე გ) რიცხვი დ) ოცდაათი

4) რომელი არ არის რიცხვითი სახელი?

ა) ათი ბ) მეორმოცე გ) რიცხვი დ) ჩვიდმეტი

5) რამდენი რიცხვითი სახელია წინადადებაში: „ქრისტეფორე კოლუმბი მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოსა და მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა“

ა) ერთი ბ) ორი გ) სამი დ) ოთხი

6) რომელ წყვილშია მხოლოდ რიცხვითი სახელები?

ა) ვაშლი, ოთხი ბ) ექვსი, ციფრი

გ) ბიჭი, ცელქი დ) ოთხასი, ათი

LIVEWORKSHEETS

7) **რამდენი რიცხვითი სახელია ანდაზაში: „ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო“**

ა) ერთი ბ) ორი გ) სამი დ) ოთხი

8) **რაოდენობის აღმნიშვნელი რამდენი სიტყვაა წინადადებაში: „ ბებიამ სამ შვილიშვილს ექვსი ჩურჩხელა თანაბრად გაუნაწილა“**

ა) ერთი ბ) ორი გ) სამი დ) ოთხი

9) **ჩამოთვლილთაგან რომელია რაოდენობითი რიცხვითი სახელი? რომელი არ არის რიცხვითი სახელი?**

ა) ათი ბ) მეასე გ) რიცხვი დ) მეჩვიდმეტე

10) **რომელია სწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?**

ა) 5-ე ბ) მე-100 გ) მე-27 დ) მე-15-ე

11) **რომელია სწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?**

ა) მე-9-ე ბ) 200-ე გ) 97-ე დ) მე-45

12) **რომელია სწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?**

ა) მე-49 ბ) 203-ე გ) მე-76-ე დ) 60-ე

LIVEWORKSHEETS